

I. ინფორმაცია პროექტის შესახებ

სეზონური სკოლა				
სახელწოდება ქართულად	ტოლერანტობისა და ინტერკულტურული განათლების სკოლა			
სახელწოდება ინგლისურად	School of Tolerance and Intercultural Education			
მიმართულება	სოციალური მეცნიერებები			
ქვემიმართულებები (მაქსიმუმ სამი)	განათლების მეცნიერებები. სოციოლოგია.			
ჩატარების პერიოდი	დაწყების თარიღი	22.11.2015	დასრულების თარიღი	29.11.2015
ჩატარების ადგილი	თბილისი. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი			

II. სეზონური სკოლის აკადემიური კომპონენტი

1) სეზონური სკოლის კონცეფცია, თემატიკა, მიზნები და ამოცანები

საზოგადოება ან სოციალური ჯგუფი არსებობას უწყვეტი თვითგანახლების გზით განაგრძობს და ეს თვითგანახლება ჯგუფის ახალგაზრდა წევრების საგანმანათლებლო ზრდის საშუალებით ხორციელდება. სხვადასხვა, განზრახ ამ მიზნით შექმნილი თუ თავისით წარმოქმნილი საშუალებების დახმარებით საზოგადოება ჯერ არაინიცირებულ და, ერთი შეხედვით, უცხო არსებებს საკუთარი რესურსებისა და იდეალების მკაცრ დამცველებად აქცევს. დღეს ბევრს ლაპარაკობენ სამოქალაქო საზოგადოების როლისა და ფუნქციის შესახებ დემოკრატიული რეფორმების ხელშეწყობისა და ქვეყნის ტრანსფორმაციის საქმეში. თანამედროვე განათლების წინაშე დგას ამოცანა – გაითვალისწინოს საზოგადოების მულტიკულტურული, ლიბერალური, ინტერნაციონალური მახასიათებლები და ხელი შეუწყოს სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შორის მშვიდობიან თანაარსებობას და პოზიტიურ ინტერაქციას. სეზონური სკოლის თემატიკა ჩამოთვლილ მახასიათებლებს დაეყრდნობა. (დეტალურად იხ. პროგრამა და საკითხების ჩამონათვალი)

სეზონური სკოლის ზოგადი მიზნია

- განათლების სფეროთი დაინტერესებული ახალგაზრდების მეცნიერებაში მოზიდვა, მაგისტრანტების კვალიფიკაციის ამაღლება, კვლევის მეთოდებში ტრენინგის, ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებისა და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის წახალისება; საერთაშორისო თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა.
- ხელი შეუწყოს სტუდენტებს (განათლების კვლევების ადმინისტრირების პროგრამის მაგისტრანტებს, ასევე მომავალ პედაგოგებს) მრავალფეროვან გარემოში ტოლერანტობის

კულტურისა და ფუნქციის შესახებ ცოდნის გაღრმავებასა და გამოყენებაში. მკაფიოდ დავანახოთ ახალგაზრდებს მოქალაქეობის, სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა კონცეფციები და მახასიათებელი ნიშნები, გავანალიზოთ ტოლერანტი მოქალაქისა და სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმები და განვიხილოთ ისინი საქართველოს რეალობასთან მიმართებით.

სკოლის კონკრეტული მიზანია

- ხელი შეუწყოს სამოქალაქო პლურალისტური ცნობიერების ჩამოყალიბებას და განვითარებას; იმის გაცნობიერებას, რომ: კულტურულ და რელიგიურ მრავალფეროვნებას, როგორც სიკეთეს მუდმივი დაცვა და განვითარება სჭირდება; მულტიკულტურალიზმი, ტოლერანტობა, რელიგიის თავისუფლება და ლიბერალიზმი დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტი; რამდენად მნიშვნელოვანია ამ ღირებულებების გათლების სფეროში სწორად შეტანა, რადგან თანამედროვე გარემოსთან ადაპტირება შეუძლებელია ტოლერანტობის პრინციპების ზედმიწევნითი ცოდნის გარეშე.
- გააცნოს სტუდენტს მულტიკულტურული განათლების თეორიები და პრაქტიკა, მულტიკულტურული განათლების როლი თანამედროვე განათლების სისტემაში, მისი მიზნები და ამოცანები, ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების ეტაპები და სტრატეგიები, ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების შეფასების მეთოდები.

მიზნის მისაღწევად საჭირო იქნება შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- საქართველოს რეგიონების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი სამაგისტრო პროგრამების მაგისტრანტების ჩართულობა სეზონური სკოლის მუშაობაში;
- მონაწილეთათვის შესაბამისი თეორიული ცოდნის მიწოდება; სეზონური სკოლის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტს ჰქონდეს თანმიმდევრული, სისტემური წარმოდგენა ტოლერანტობის კონცეფციების შესახებ; იცოდეს, როგორ მოქმედებს ტოლერანტობის მექანიზმი კულტურულ, პოლიტიკურ, სოციალურ და სამართლებრივ სისტემებში და რა მოვლენები უწყობს/უშლის ხელს ტოლერანტობას.
- მაგისტრანტებსთვის კვლევის მეთოდებისა და ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად;
- ახალგაზრდების ხელშეწყობა, დაინტერესდნენ ინტერდისციპლინურ თანამშრომლობითა და სამომავლოდ კონკრეტულ თემებზე/პრობლემებზე ორიენტირებული კვლევების განხორციელებით;
- ქართველ მაგისტრანტთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით უცხოელი განათლების ექსპერტების მოწვევა და სეზონური სკოლის მუშაობაში მათი აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა;
- 64-ე საჯარო სკოლაში (სკოლაში არსებობს აზერბაიჯანული და ქართული სექტორი) სტუდენტთა ვიზიტის ორგანიზება;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ვებგვერდზე დამატებითი ფანჯრის გამოტანა სახელწოდებით “სეზონური სკოლა - ტოლერანტობა და ინტერკულტურული განათლება”, რომლის ადმინისტრირებასაც განხორციელებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი. ვებგვერდზე აიტვირთება სეზონური სკოლის ჩატარებისთვის აუცილებელი მასალები: სილაბუსი, რიდერები, პრეზენტაციები, სტუდენტთა ნაშრომები, ფოტო და ვიდეო მასალები.

2) სეზონური სკოლის პროგრამა, საკითხების ჩამონათვალი, სწავლების მეთოდები და მიდგომები, სასწავლო მასალა. (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 900)

სკოლის პროგრამა: ჩატარდება 2015 წლის 22-29 ნოემბერს

22 ნოემბერი-კვირა

9:00-13:00 - მონაწილეთა დახვედრა-დაბინავება

13:30-14:00- სკოლის საზეიმო გახსნა

14:00 - სკოლის ამოცანებისა და მიზნების ახსნა, სფეროს ცოდნის გარკვევა. პროფესორის გაცნობა.

15:00 - სადილი

20:00 - ვახშამი

23 ნოემბერი-ორშაბათი

9:00-11:00 - რონდა სოფერის ლექცია თემაზე “ტოლერანტობის ცნება და კონცეფციები”.

(2 აკადემიური საათი)

11:00-11:30 - ყავის შესვენება

11:30-13:30 - რონდა სოფერის ლექცია თემაზე “მულტიკულტურალიზმი და განათლების თანამედროვეობის გამოწვევები”. (2 აკადემიური საათი)

13:30-14:30 - ლანჩი

14:30-16:30 - ჯგუფური სემინარული მუშაობა მოსმენილ თეორიულ მასალაზე. (2 აკადემიური საათი)

16:30 19:00 - ვიზიტი თბილისის მულტიეთნიკურ უბნებში. საუბრები. დისკუსია-დებატები. (2

აკადემიური საათი)

20:00 - ვახშამი

24 ნოემბერი - სამშაბათი

9:00-11:00 - რონდა სოფერის ლექცია თემაზე “ინტერკულტურული განათლება და სწავლების ასპექტები საგანმანათლებლო დაწესებულებებში”. (2 აკადემიური საათი)

11:00-11:30 - ყავის შესვენება

11:30-13:30 - რონდა სოფერის ლექცია თემაზე “მრავალფეროვნება განათლებაში; მრავალფეროვნების სოციალური და აკადემიური უპირატესობები სწავლების პროცესში”. (2 აკადემიური საათი)

13:30-14:30 - ლანჩი

14:30-16:30 - ჯგუფური სემინარული მუშაობა მოსმენილ თეორიულ მასალაზე. (2 აკადემიური საათი)

17:00 -19:00 - პრაქტიკული სამუშაო. შეხვედრა თბილისის #64 აზერბაიჯანულ საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან, არსებული სიტუაციის ანალიზი და საუბრები. (2 აკადემიური საათი)

20:00 - ვახშამი

25 ნოემბერი - ოთხშაბათი

9:00-11:00 - ბექა მინდიაშვილის ლექცია თემაზე “რელიგია და ტოლერანტობა. რელიგია და მეცნიერება. ტოლერანტობის კულტურის თვალსაჩინო გამოვლინებები”. (2 აკადემიური საათი)

11:00-11:30 - ყავის შესვენება

11:30-13:30 - ბექა მინდიაშვილის ლექცია თემაზე “საქართველო და ტოლერანტობის ტრადიცია”. (2 აკადემიური საათი)

13:30-14:30 - ლანჩი

14:30-15:30 - დოკუმენტური ფილმის ჩვენება

<http://www.pbs.org/wgbh/pages/frontline/shows/divided/etc/view.html>

15:30 -17:00 - ფილმის ანალიზი. ჯგუფური სემინარული მუშაობა მოსმენილ თეორიულ მასალაზე.

(2 აკადემიური საათი)

20:00 - ვახშამი

26 ნოემბერი - ხუთშაბათი

9:00-11:00 - ბექა მინდიაშვილის ლექცია თემაზე “ტოლერანტობა - მსოფლიო და ქართული ლიტერატურული ტრადიციები”. (2 აკადემიური საათი)

11:00-11:30 - ყავის შესვენება

11:30-13:30 - ბექა მინდიაშვილის ლექცია თემაზე “სახელმწიფო და რელიგია. რელიგიის თავისუფლება”. (2 აკადემიური საათი)

13:30-14:30 - ლანჩი

14:30-15:30 - მხატვრული ფილმის ჩვენება. http://tolerantoba.ge/index.php?news_id=34

15:30 -17:30 - ფილმის ანალიზი. ჯგუფური სემინარული მუშაობა მოსმენილ თეორიულ მასალაზე. (2 აკადემიური საათი)

20:00 - ვახშამი

27 ნოემბერი - პარასკევი

9:00-11:00 - იან ბოჰმის ლექცია თემაზე “ფუნდამენტალიზმი. დისკრიმინაცია და უთანასწორობის აკრძალვა”. (2 აკადემიური საათი)

11:00-11:30 - ყავის შესვენება

11:30-13:30 - იან ბოჰმის ლექცია თემაზე “სოციალური ფენა, კლასი და ინტერკულტურული განათლება”. (2 აკადემიური საათი)

13:30-14:30 - ლანჩი

14:30-16:30 - ჯგუფური სემინარული მუშაობა მოსმენილ თეორიულ მასალაზე. (2 აკადემიური საათი)

16:30-17:00 - ყავის შესვენება

17:00 19:00 - სტუდენტთა კვლევითი ნაშრომების პრეზენტაცია. (2 აკადემიური საათი)

20:00 - ვახშამი

28 ნოემბერი - შაბათი

9:00-11:00 - იან ბოჰმის ლექცია თემაზე “სკოლა და რელიგია (ევროპული გამოცდილების მაგალითზე)”. (2 აკადემიური საათი)

11:00-11:30 - ყავის შესვენება

11:30-13:30 - იან ბოჰმის ლექცია თემაზე “გენდერი და ინტერკულტურული განათლება”. (2 აკადემიური საათი)

13:30-14:30 - ლანჩი

14:30-16:30 - ჯგუფური სემინარული მუშაობა მოსმენილ თეორიულ მასალაზე. (2 აკადემიური საათი)

16:30-17:00 - ყავის შესვენება

17:00 -19:00 - სტუდენტთა კვლევითი ნაშრომების პრეზენტაცია. (2 აკადემიური საათი)

20:00 - ვახშამი

29 ნოემბერი - კვირა

9:00-12:00 - ჯგუფური დავალების პრეზენტაცია (3 აკადემიური საათი)

12:00 – 12:30 - ყავის შესვენება

12:30 – 14:00 - სკოლის საზეიმო დახურვის ცერემონიალი, სეზონური სკოლის მუსაობის შეფასება და შედეგების გამოცხადება, სერთიფიკატების გადაცემა.

14:00 – 17:00 - გამოსამშვიდობებელი სადილი

18:00 - მონაწილეთა გაცილება

საკითხების ჩამონათვალი:

1. ტოლერანტობის ცნება და კონცეფციები.
2. მულტიკულტურალიზმი და განათლების თანამედროვეობის გამოწვევები.
3. ინტერკულტურული განათლება და სწავლების ასპექტები ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
4. მრავალფეროვნება განათლებაში; მრავალფეროვნების სოციალური და აკადემიური უპირატესობები სწავლების პროცესში.
5. რელიგია და ტოლერანტობა. რელიგია და მეცნიერება. ტოლერანტობის კულტურის თვალსაჩინო გამოვლინებები.
6. საქართველო და ტოლერანტობის ტრადიცია.
7. ტოლერანტობა - მსოფლიო და ქართული ლიტერატურული ტრადიციები.
8. სახელმწიფო და რელიგია. რელიგიის თავისუფლება.
9. ფუნდამენტალიზმი. დისკრიმინაცია და უთანასწორობის აკრძალვა.
10. სოციალური ფენა, კლასი და ინტერკულტურული განათლება.
11. სკოლა და რელიგია (ევროპული გამოცდილების მაგალითზე).
12. გენდერი და ინტერკულტურული განათლება.

სწავლების მეთოდები და მიდგომები:

პროექტის მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელებისთვის სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები:

1. დისკუსია/დებატები – ინტერაქტიური სწავლებისთვის. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში.

2. ჯგუფური მუშაობა - სტუდენტები დაიყოფიან ჯგუფებად და მიეცემათ სასწავლო დავალება. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად დაამუშავებენ საკითხს და პარალელურად გაუზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ჯგუფური სემინარული მუშაობის განმავლობაში მონაწილეებს ფასილიტაციას გაუწევენ პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო სოზაშვილი და პროექტის თანახელმძღვანელი, პროფესორი ირმა ბარბაქაძე.**

3. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით განხორციელდება.

4. გონებრივი იერიში (Brain storming) - კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული მეთოდი ხელს შეუწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

5. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

6. ახსნა-განმარტებითი მეთოდი – დაეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

7. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – ხდება თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სასწავლო მასალა:

სეზონური სკოლის განხორციელებისთვის განსაზღვრულია სულ 45 აკადემიური საათი. საკოლისთვის შემუშავებულია სილაბუსი სადაც მითითებულია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი. ვინაიდან სკოლის მუსაობა დროშია შეზღუდული, თითოეული სალექციო კურსისთვის პროფესორებს მომზადებული აქვთ რიდეები და პრეზენტაციები. სილაბუსი და რიდეები სკოლის დაწყებამდე კონკურსის შედეგად შერჩეულ მონაწილეებს გადაეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ხოლო სკოლის მიმდინარეობისას მასალები დაურიგდებათ ჰენდაუთების სახით.

3) ინფორმაცია სკოლის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ლექტორების, მასწავლებლების, ინსტრუქტორების ან/და ტრენერების შესახებ

1	
სახელი, გვარი	ნინო სოზაშვილი
სამეცნიერო ხარისხი	ფილოლოგიის დოქტორი. განათლების დოქტორი.
აკადემიური თანამდებობა	პროფესორი
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, ქვეყანა)	ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
პროექტში პოზიცია და მოვალეობა	პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი. ფასილიტატორი.
მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მაქსიმუმ სამი)	სოზაშვილი ნ. „ტოლერანტობა, მულტიკულტურული განათლება და კულტურული მავალფეროვნების დისკურსი საქართველოში“. განათლების საინაუგურაციო კონფერენცია. ინგლისი. ბრაიტონი. 2013
	სოზაშვილი ნ. „სასწავლო პროცესის მენეჯმენტი, როგორც მეცნიერული კვლევის საგანი“ . გამომცემლობა ემ-პი-ჯი. თბილისი. 2012
	სოზაშვილი ნ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის მართვის ძირითადი მიმართულებები და ამოცანები“. საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“. თბილისი 2012
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ნინო სოზაშვილს გააჩნია ზაფხულისა და ზამთრის სკოლისების წარმატებით ჩატარების გამოცდილება. მისი ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზამთრის სკოლის პროექტი "სწავლების ინოვაციური ორიენტირები" და "ქართული ფოლკლორის საზაფხულო სკოლა". პროფესორ ნინო სოზაშვილს გააჩნია კვლევის, სწავლებისა და საერთაშორისო პროექტებში მუშაობის 11 წლიანი გამოცდილება. აქტიური კავშირები აქვს უცხოელ

	კოლეგებთან. ნინო სოზაშვილი, როგორც მეცნიერი ამ ეტაპზე მუშაობს განათლების ფოლკლორის, კულტურული ანთროპოლოგიისა და განათლების კვლევების მიმართულებით. ამასთან ის არის საქართველოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი. გააჩნია სოლიდური გამოცდილება ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დანერგვაში.
--	--

2	
სახელი, გვარი	ირმა ბარბაქაძე
სამეცნიერო ხარისხი	პედაგოგიკის აკადემიური დოქტორი
აკადემიური თანამდებობა	ასოცირებული პროფესორი
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, ქვეყანა)	აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი. საქართველო.
პროექტში პოზიცია და მოვალეობა	პროექტის თანახელმძღვანელი. ფასილიტატორი.
მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მაქსიმუმ სამი)	ბარბაქაძე. ი. "The Role of the Training Assessment" . საზრისი. თბილისი. 2006. #20. გვ. 51-54
	ბარბაქაძე. ი. "The Role of the Training Assessment" . პრომეთე. თბილისი. 2006. #7(19). გვ. 42-44
	ბარბაქაძე. ი. "The Role of the Foreign Language Teacher Training". პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი "ინტელექტი" თბილისი. 2006. #1(24). გვ. 240-241.
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	პროფესორ ირმა ბარბაქაძე მრავალი წელია წარმატებით ეწევა სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიურ საქმიანობას. გააჩნია ზამთრისა და ზაფხულის სკოლების წარმატებით მომზადებისა და ჩატარების გამოცდილება. 1999 წლიდან არის ამერიკული საბჭოების პროგრამების კოორდინატორი საქართველოში და გააჩნია უცხოელ კოლეგებთან მუშაობისა და პროექტების განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილება.

3	
სახელი, გვარი	Rhonda Sofer
სამეცნიერო ხარისხი	Ph.D.
აკადემიური თანამდებობა	Professor
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, ქვეყანა)	Head of the Multicultural Educational Resource Center. Gordon Academic College of Education. Israel.
პროექტში პოზიცია და მოვალეობა	Lecturer
მნიშვნელოვანი	Sofer R. "Nurturing Leadership through Leading from Behind: An

პუბლიკაციები (მაქსიმუმ სამი)	Example of DOIT”. International Periodical Journal Education in press . 2015.
	Sofer R. “DOIT’s Major Achievements and Good Practices” Development of an international Model for Curriculum Reform in Multicultural Education and Cultural Diversity Training”, DOIT. 2015.
	Sofer R. Promoting Intercultural Relations and Understanding on Campus: DOIT’s Student’s Activities Development of an international Model for Curriculum Reform in Multicultural Education and Cultural Diversity Training, DOIT. 2015.
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	Rhonda Sofer, is an applied anthropologist, Director of GACE's Multicultural Educational Resource Center and Center of International Relations and Programs and is responsible for international projects. Lecturing in HEI in Israel since 1979, Dr. Sofer has trained thousands of Jews and Arab students and teachers and has provided workshops for academic faculty in universities on the topic of teaching in a multicultural classroom. She is the coordinator of a TEMPUS IV fifth call program DOIT . DOIT promote multicultural education, diversity and children's rights in teacher-training programs.

4	
სახელი, გვარი	ბექა მინდიაშვილი
სამეცნიერო ხარისხი	თბილისის სასულიერო აკადემია. მეორე ხარისხი.
აკადემიური თანამდებობა	
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, ქვეყანა)	ტოლერანტობის ინსტიტუტი. ექსპერტი. საქართველო. UNDP project “Capacity Building of Public Defender’s Office of Georgia”
პროექტში პოზიცია და მოვალეობა	ლექტორი
მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მაქსიმუმ სამი)	მინდიაშვილი ბ. “ფუნდამენტალიზმის ბარიერი”. 2006. http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619837&sub_id=1317206408
	მინდიაშვილი ბ. ბატონი თუ მსახური? http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619837&sub_id=1317206408
	მინდიაშვილი ბ. “უცხო და მახლობელი” http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619837&sub_id=1317206408
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	ბექა მინდიაშვილს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის ტოლერანტობის, ეროვნული უმცირესობების, ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხებზე.

5

სახელი, გვარი	Jan Böhm
სამეცნიერო ხარისხი	Ph.D
აკადემიური თანამდებობა	Professor
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, ქვეყანა)	University of Education Upper Austria. Department of Comparative Education.
პროექტში პოზიცია და მოვალეობა	Lecturer
მნიშვნელოვანი პუბლიკაციები (მაქსიმუმ სამი)	Böhm, J. / Stütz, R. (Hrsg.) : Lehrerbildung in Finnland. (Teacher Training in Finland)” Pädagogische Vielfalt. Aspekte internationaler pädagogischer Praxis. Bielfeld, S. 88-120. 2015
	Böhm, J. / Stütz, R. (Hrsg.) : Überlegungen zum Gegenstandsbezug der Vergleichenden Pädagogik. (Thoughts about Comparative Education): Pädagogische Vielfalt. Aspekte internationaler pädagogischer Praxis. Bielfeld, S. 9-51. 2015
	Böhm, J. : Gemeinschaftsschule in Finnland (Comprehensive School in Finland): Bildung und Erziehung, 68 (2015), 2, S. 189-213.
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის შესაბამისი გამოცდილების შესახებ (მაქს. 50 სიტყვა)	Prof. Dr. Jan Böhm has 12 years of experience in research, teaching, preparation of research reports, final conclusions and recommendations. He has wide experience in international relations, international projects and international exchange programs. Jan Böhm has a scientist works in the fields of Comparative Education and International Education Systems; Life Long Learning; Professionalization in Education; Didactics in Adult Education and Continuing Education; Theories of Teaching and Learning; Qualitative Research in Education (ethnographic Research methods in Education); Curriculum Development. As a lecturer and expert, he has an excellent understanding the role of placements and development new study programs at the institutional and national levels. He is also working in Adult education in the field of didactic, learning and teaching, international education systems, intercultural education.

6

სახელი, გვარი	ივანე ჩერქეზიშვილი
სამეცნიერო ხარისხი	ფინანსისტის აკადემიური ხარისხი
სამუშაო ორგანიზაცია (დეპარტამენტი, ინსტიტუტი, ქვეყანა)	აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი. შესყიდვების სამსახურის უფროსი.
პროექტში პოზიცია და მოვალეობა	პროექტის მენეჯერი
მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები პროექტის	გააჩნია საქმის ეკონომიკური წარმოების, დაგეგმვისა და მართვისა მრავალწლიანი გამოცდილება.

4) პროექტის წამყვანი ორგანიზაციის სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობის შესაბამისობა პროექტის მიმართულებასა და მიზნებთან; საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობა.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (EEU) სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ ევროპული განათლება საქართველოში. ამის გარანტია უნივერსიტეტში მოქმედი თანამედროვე, სტანდარტების შესაბამისი პროგრამები და მაღალკვალიფიციური პროფესორა. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს იურიდულ, ეკონომიკისა და ბიზნესის და ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. სტუდენტებს აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა საერთაშორისო, გაცვლით და სასერთიფიკატო პროგრამებში.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს: ა) სწავლებისა და კვლევის განუყოფლობას და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების დანერგვას; ბ) დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე, ქართულ და მსოფლიო კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას სტუდენტებისა და აკადემიური საზოგადოებისთვის; გ) სტუდენტთა დასაქმებასა და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სწავლებას ცვალებადი საერთაშორისო შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტში არსებობს მყუდრო, კეთილგანწყობილი გარემო, საუკეთესო ინფრასტრუქტურა.

უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო პროგრამა “განათლების კვლევები და ადმინისტრირება”, სადაც შეაძლებელია განათლების მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიღება. პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტებს საშუალება აქვთ მიიღონ საუნივერსიტეტო სტიპენდია და ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლონ ლინცის პედაგოგიურ უნივერსიტეტში (ავსტრია). სალექციო კურსებს უძღვებიან ლინცის უნივერსიტეტის პროფესორი იან ბოემი და კენტუკის უნივერსიტეტის პროფესორი ტაირონ ბინო, ასევე აღიარებული ქართველი განათლების ექსპერტები და სპეციალისტები.

განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, მოამზადოს სტუდენტი წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის განათლების მეცნიერებების ფართო პროფილით, დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და კვლევების საწარმოებლად.

სეზონური სკოლის “ტოლერანტობის კულტურა და ინტერკულტურული განათლება” დაფინანსება ხელს შეუწყობს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მაგისტრანტებსა და პროექტში ჩართულ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უნივერსიტეტების სტუდენტებს მიიღონ ცოდნა და დაუვიწყარი გამოცდილება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლის ფუნდამენტურად შესწავლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარება.

III. სეზონური სკოლის პრიორიტეტულობა და აქტუალობა

პროექტის მნიშვნელობა მსმენელებისათვის, პროექტის პერსონალისა და ორგანიზაციებისათვის, ასევე ფართო საზოგადოებისა და ქვეყნისათვის (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა 600).

საუბარი მულტიკულტურალიზმზე, ლიბერალიზმზე, ქალთა უფლებებზე, თანასწორობაზე, ინტერნაციონალიზმზე საქართველოში მეცხრამეტე საუკუნიდან დაიწყო. ქართველი მოქალაქის შექმნა სწორი ღირებულებებით, შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით სამოციანელთა მთავარი ამოცანა გახლდათ. მათი დანატოვარის, განსაკუთრებით პუბლიცისტიკის გადახედვისას ჩნდება შეგრძნება,

რომ ისევ იქ ვართ, იმ საუკუნეში, იმავე სიბნელეს ვებრძვით და ვერც ვებრძვით. მათი შრომა თითქოს წყალში გადაყრილია. საუკუნე და მეტიცაა გასული და ბევრი ელემენტარული ჭეშმარიტება ისევ დასაცავია, თანამედროვე ქართველიც - ისევ აღსაზრდელი. თერგდალეულებმა თავიანთი საუკუნე იხსნეს. ტრაგიკული წყვეტის გამო, ოცდამეერთე საუკუნის საქართველოც სახსნელია. რაც მთავარია, ბევრი რამ ახლო ისტორიიდან თავიდანაა გასააზრებელი.

სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ გამოცემული „ინტერკულტურული განათლების ასპექტების კვლევა საქართველოს სკოლების დაწყებით საფეხურზე“ ანგარიშში ვკითხულობთ: „...ინტერვიუებმა ცალსახად დაადასტურა, რომ მასწავლებლებს ან საერთოდ არა აქვთ წარმოდგენა, რა არის მულტიკულტურული განათლება და მისი მიზანი ან ძალიან შეზღუდულად იაზრებენ მას“. არადა ინტერკულტურული განათლების პროცესის ეფექტურობისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მაღალი ინტერკულტურული მგრძობელობის მქონე, შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი მასწავლებელი მიიჩნევა. კვლევა ეხება ამ მიმართებით ცოდნისა და უნარების დეფიციტის მიზეზებსაც. პედაგოგთა უმრავლესობას თავის დროზე შესაბამისი განათლება არ მიუღია, ან ეს განათლება ვეღარ პასუხობს თანამედროვე მიდგომებს, ზოგიერთისთვის კი თეორიული ცოდნა საკმარისი არ აღმოჩნდა წარმატებული პრაქტიკისათვის.

სახელმწიფომ რომ რელიგიური ტოლერანტობის გარანტირება შეძლოს და კონსტიტუციური პრინციპების ერთგული დარჩეს, იგი აუცილებლად უნდა უწყობდეს ხელს ახალგაზრდების ამ მიმართულებით განათლებას.

მომავალი თაობის მართებული დამოკიდებულება აღნიშნული საკითხებისადმი ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ერთი მხრივ, ადამინის პიროვნების და მეორე მხრივ, ნაციონალური ერთიანობის განვითარებას.

IV. სეზონური სკოლის მართვის კომპონენტი

ინფორმაცია სეზონური სკოლის სამიზნე აუდიტორიის, მსმენელების მოზიდვისა და შერჩევის შესახებ.

სკოლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ:

1. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის “განათლების კვლევები და ადმინისტრირება” სტუდენტები (20 მაგისტრანტი);
2. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის სტუდენტები (5 მაგისტრანტი)
3. აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტები (5 მაგისტრანტი)
4. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები (5 მაგისტრანტი)
5. გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები (5 მაგისტრანტი)
6. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები (5 მაგისტრანტი)

სულ - 45 სტუდენტი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი დაუკავშირდება ზემოთ ჩამოთვლილ უნივერსიტეტებს და წერილობით მიაწვდის ოფიციალურ ინფორმაციას სეზონური სკოლის ჩატარების შესახებ.

განცხადება განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და ფეისბუქის გვერდზე. გამოცხადდება მონაწილეთა შესარჩევი კონკურსი, როლის პირობებიც დეტალურად იქნება გაწერილი. მსურველები შეავსებენ აპლიკაციას და დამოუკიდებელი კომისია შეარჩევს მონაწილეებს. ვინაიდან ლექციების ნაწილი განხორციელდება ინგლისურ ენაზე, ამიტომ შესარჩევი კონკურსის ერთ-ერთი კრიტერიუმი ინგლისური ენის ცოდნის დონის შემოწმება იქნება.

4) პროექტის მოსალოდნელი შედეგები და სეზონურ სკოლასთან დაკავშირებული სასწავლო-სამეცნიერო მასალებზე წვდომის უზრუნველყოფა, ცოდნისა და გამოცდილების გავრცელების მექანიზმები.

სკოლის დასრულებისას შედეგად სტუდენტები

- შეძლებენ გააცნობიერონ საგანმანათლებლო (და ზოგადად) გარემოს მრავალფეროვნებას და მისი დაცვის მნიშვნელობა
- შეძლებენ გააცნობიერონ, რომ თანამედროვე გარემოსთან ადაპტირება შეუძლებელია ტოლერანტობის პრინციპების ზედმიწევნით ცოდნის გარეშე
- შეძლებენ, მრავალფეროვან კულტურულ და რელიგიურ სასწავლო (და ზოგად) გარემოში ტოლერანტობის კულტურისა და ფუნქციის შესახებ ცოდნის ეფექტურ გამოყენებას და ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობას
- შეძლებენ გაანალიზონ მრავალფეროვნებისა და ტოლერანტული გარემოს როლი წარმატებული სასწავლო (და ზოგადად) გარემოს ჩამოყალიბებისათვის
- შეძლებენ გაანალიზონ ტოლერანტული გარემოს ხელის შეწყობი ან ხელის შემშლელი გარემოებები
- შეძლებენ ჯგუფური მუშაობის, დისკუსიებისა და მსჯელობისას წარმოაჩინონ ტოლერანტობის მექანიზმი საგანმანათლებლო, კულტურულ, პოლიტიკურ, სოციალურ და სამართლებრივ სისტემებში
- შეძლებენ გამოიყენონ კრიტიკული აზროვნების პოტენციალი პროფესიული განვითარებისათვის რელიგიური მრავალფეროვნების კონტექსტში
- შეძლებენ გააცნობიერონ/აღიარონ ტოლერანტობისა და რელიგიის თავისუფლების დაცვისა მნიშვნელობა წარმატებულ სასწავლო გარემოში

თითოეული სალექციო კურსისთვის პროფესორებს მომზადებული აქვთ რიდერი და პრეზენტაციები. სილაბუსი და რიდერები სკოლის დაწყებამდე კონკურსის შედეგად შერჩეულ მონაწილეებს გადაეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ხოლო სკოლის მიმდინარეობისას მასალები დაურიგდებათ ჰენდაუთების სახით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება მიეცემა სეზონური სკოლის ყველა მონაწილეს.

კურსის მთავარი მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები:

სკოლის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში მაგისტრანტს მიენიჭება **6 კრედიტი**, რომელიც შესაძლებელია თავისუფალი არჩევითი კურსის ფარგლებში უღიაროს უნივერსიტეტმა.

საკონტაქტო სულ **45 აკადემიური საათი**. აქედან 12 საათი სალექციო, 33 საათი სემინარული და პრაქტიკული მუშაობისთვის.

შეაფასების ფორმები და კრიტერიუმები

ლექციაზე დასწრება და მონაწილეობა - 10 ქულა

აღნიშნული კურსის წარმატებით წარმართვისათვის მნიშვნელოვანია რომ სტუდენტები არამარტო რეგულარულად დაესწრონ ლექციებს, არამედ მომზადებულნი მოვიდნენ ლექციებზე და აქტიური მონაწილეობა მიიღონ განხილვებში.

აკადემიური ჩანაწერების პორტფოლიო - 20 ქულა

სკოლის მიზანია არა მხოლოდ ტოლერანტობისა და ინტერკულტურული განათლების თეორიულად შესწავლა, არამედ აღნიშნული ცოდნის გააზრება, ანალიზი და პრაქტიკაში გამოყენება. შესაბამისად, აკადემიური ჩანაწერების პორტფოლიო ხელს შეუწყობს სტუდენტს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებაზე იფიქროს. აკადემიური ჩანაწერების ფორმა მიეწოდებათ სტუდენტებს კურსის დაწყებისას.

ჯგუფური დავალება - 30 ქულა

ინტერკულტურული მიდგომით და სწავლების მეთოდებით ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა - აღნიშნული დავალება უნდა ჩაბარდეს 29 ნოემბერს. დასაწყისში სტუდენტები დაიყოფიან ჯგუფებად. შექმნილ ჯგუფებს მოუწევთ კონკრეტული თემის აღება და ამ თემის გარშემო ინტეგრირებული გაკვეთილი დაგეგმვა (ინტეგრირებული გაკვეთილი შეიძლება მოიცავდეს ენისა და მათემატიკის, ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების, ენისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ენისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ნებისმიერი სავალდებულო, არჩევითი თუ ფაკულტატური საგნის გაკვეთილის ციკლის დაგეგმვას). სტუდენტები ვალდებული იქნებიან შეიმუშავონ ინტეგრირებული გაკვეთილის ციკლის გეგმა ერთი კვირის განმავლობაში. საგაკვეთილო ციკლის დაგეგმვისას სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ სხვა მეთოდებთან ერთად ინტერკულტურული განათლების მიდგომები და გავრცელებული სტრატეგიები, მათ შორის კლასგარეშე აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ენობრივი მიზნის, აგრეთვე საგნის შინაარსთან დაკავშირებული მიზნების მიღწევას, აგრეთვე მოსწავლეებში ტოლერანტული დამოკიდებულებების გაძლიერებასა და ინტერკულტურული მგრძობელობის გაზრდას. მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფური პრეზენტაციის დროს ჯგუფმა ახსნას რატომ გამოიყენა ესა თუ ის მიდგომა თუ სტრატეგია, რა იყო მისი მიზანი, რა უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას შეუწყობს ხელს, რატომ მოხდება მოსწავლეების ინტერკულტურული მგრძობელობის გაზრდა ამა თუ იმ აქტივობის გამოყენებით.

ჯგუფებს ნამუშევრის, აგრეთვე პრეზენტაციის გარდა ევალებათ ჯგუფში თითოეული მონაწილის როლის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ჯგუფის თითოეული წევრის კონტრიბუცია ჯგუფურ ნაშრომში.

ჯგუფის შეფასება გავრცელდება ჯგუფის ყველა წევრზე სკოლის ლექტორების შეხდულებისამებრ. თუკი ჯგუფის რომელიმე წევრი პასიურია ან საერთოდ არ მონაწილეობს ჯგუფის მუშაობაში ან მისი კონტრიბუცია პროექტის მომზადებაშია დაბალია, მასზე არ გავრცელდება ჯგუფის შეფასება. ამასთანავე, წევრებს შორის ფუნქციების და როლების არაეფექტური გადანაწილება თავისთავად აისახება ჯგუფის საერთო შეფასებაშიც, როგორც ეს წარმოდგენილია შეფასების სისტემაში.

საბოლოო კვლევითი ნაშრომი/პრეზენტაცია - 40 ქულა

აღნიშნული დავალება უნდა შესრულდეს სკოლის დამთავრებამდე და წარმოდგენილი იქნას პრეზენტაციის სახით 27-28 ნოემბერს. სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ მათთვის საინტერესო ნებისმიერი თემატიკა ტოლერანტობისა და ინტერკულტურული განათლების საკითხებზე. სტუდენტებს საკითხის შესასწავლად შეუძლიათ გამოიყენონ, როგორც რაოდენობრივი აგრეთვე ხარისხობრივი და შერეული კვლევის მეთოდები. სკოლაში დაგეგმილი შეხვედრების შემდეგ სტუდენტები ვალდებულნი არიან სკოლის, თემის თუ ჯგუფის მაგალითზე გამოარკვიონ კონკრეტული პრობლემები, რასაც მასწავლებლები, მოსწავლეები ან მშობლები აწყდებიან ამ

მიმართულებით სწავლა-სწავლების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა მოიპოვონ კონკრეტული სიტუაციების აღწერის მაგალითები და აგრეთვე ამ პრობლემურ სიტუაციებში მათ მიერ მოძებნილი გადაჭრის გზები. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებმა გაანალიზონ მოპოვებული სიტუაციები თუ საგაკვეთილო პროცესები ინტერკულტურული განათლების ჭრილში და წარმოადგინონ თავიანთი ხედვები, როგორ უნდა მომხდარიყო სიტუაციიდან შესაბამისი გადაჭრის გზების მოძიება.

სტუდენტების მიერ წარმოდგენილი ნაშრომი შემდეგი ნაწილებისგან უნდა შედგებოდეს:

1. შესავალი
2. საკვლევი მიმართულებით ლიტერატურის მიმოხილვა;
3. ჩატარებული მცირე კვლევის მეთოდების მიმოხილვა;
4. კვლევის შედეგები და მათი ანალიზი;
5. დისკუსია და რეკომენდაციები პროექტის გარშემო;
6. დასკვნა.

V. სეზონური სკოლის პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე

"School of Tolerance and Intercultural Education", held out at East European University, will last for 8 days and 45 graduate students from the Universities of different regions will be involved in its work. Lectures and practical sessions will be led by local and foreign scientists.

"School of Tolerance and Intercultural Education" is designed to equip the students (Education Research and Administration graduate students, as well as future teachers) with the knowledge of tolerance culture and its practical usage in diverse environment.

The School will promote and develop the public pluralistic awareness; the understanding of the cultural and religious diversity as a good permanent which needs protection and development; that, multiculturalism, tolerance, freedom of religion are the foundations of democracy and liberalism; how important it is to insert these values correctly into the education, as it is impossible to adapt to a modern environment without a thorough knowledge of principles of tolerance. School also aims to introduce students to the theories and practice of multicultural education, the role of multicultural education in the modern education system, its goals and objectives, and strategies for the development stages of intercultural competences, development stages and assessment methods for the intercultural competences.

Students successfully graduating the School will receive 6 credits, which will be acknowledged by their home university as a free-elective course.